



ჯანმრთელობა

ჯანმრთელობის დაცვა

თქვენ ხართ ახალი ჩამოსული ჟენევაში და ხართ ჰოსპის ჟენერალის ბენეფიციარი: გაქვთ კითხვები ჯანდაცვისა და ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობის შესახებ? ეს დოკუმენტი მოგაწვდით შემდეგ ინფორმაციებს:

- აზულის სამკურნალო ქსელი
- როგორ მოქმედებს აზულის სამკურნალო ქსელი?
- რა გავაკეთოთ საგანგებო სიტუაციაში?
- რა გავაკეთოთ თუ ბავშვი არის ცუდად?
- როგორ მოვიპოვოთ მედიკამენტები?
- როგორ ისარგელოთ სტომატოლოგიური დახმარებით?
- რა სახის მედიკამენტებია თქვენს ხარჯზე?
- რა ხდება გაუთვალისწინებელი შემთხვევის დროს?

აზულის სამკურნალო ქსელი

შვეიცარიაში ჯანმრთელობის დაზღვევა სავალდებულოა და დაზღვეული ხართ Swiss Risk&Care-ში. თქვენმა სოციალურმა მუშაკმა ჩამოსვლისთანავე გადმოგცათ სერთიფიკატი. თქვენ ის გჭირდებათ მკურნალობის მისაღებად.

თქვენი მკურნალობა ხორციელდება ჯანდაცვის ქსელის საშუალებით, რომელიც გულისხმობს მიგრანტთა ჯანმრთელობის პროგრამის (MSP) მონიტორინგს, პირველადი სამედიცინო დახმარების და Pharmasile-ის ქსელში მისამართად.

მიგრანტთა ჯანმრთელობის პროგრამის ექთანი (MHP) დაგინიშნავთ თქვენს პირად ექიმს. (პირველადი სამედიცინო დახმარების ექიმი).

ყველა სახის ჯანმრთელობის პრობლემა, ფიზიკური, თუ ფსიქიკური, შეგიძლიათ განიხილოთ ექთანთან ან ექიმთან ერთად.

როგორ მოქმედებს აზულის სამკურნალო ქსელი?

ზრდასრული ადამიანებისთვის:

პირველ რიგში უნდა გაიაროთ კონსულტაცია თქვენს პირად ექიმთან. საჭიროების შემთხვევაში, ის დაგინიშნავთ კონსულტაციას სპეციალისტთან, თქვენ თვითონ არ უნდა მიხვიდეთ პირდაპირ სპეციალისტთან პირადი ექიმის თანხმობის გარეშე, თუ ეს არ შეეხება გინოკოლოგს და ოფთალმოლოგს.

ბავშვებისთვის:

თქვენ თვითონ შეგიძლიათ აირჩიოთ თუ რომელ პედიატრთან გასურთ კონსულტაცია. (კერძო პედიატრი, ბავშვთა საავადმყოფო ან ახალგაზრდული ჯანმრთელობის პროგრამა).

მკურნალობის მისაღებად თქვენ უნდა წარმოადგინოთ:

- თქვენი საბუთი (საბუთი N, F, B ან დროებითი ატესტატი ანუ თეთრი საბუთი).
- ჯანმრთელობის დაზღვევის ბარათი, (ან კონსულტაციისთვის გაცემული დროებითი სერთიფიკატი).

თუ ბარათი დაკარგეთ ან მოგპარეს, მიმართეთ თქვენს სოციალურ მუშაკს ან ფინანსურ და ადმინისტრაციულ მენეჯერს.

რა უნდა გავაკეთოთ საგანგებო სიტუაციაში?

საერთო საცხოვრებელ ცენტრის პირობებში:

- შეგიძლიათ მიმართოთ მაგრანტთა ჯანმრთელობის პროგრამაში მომუშავე ექთანს ან წახვიდეთ თქვენ პირად ექიმთან.
- გადაუდებელ სიტუაციაში: მიმართეთ ადგილზე მომუშავე ჯგუფს რათა დაგეხმარონ.

ინდივიდუალური საცხოვრებლის პირობებში:

- შეგიძლიათ მიმართოთ მაგრანტთა ჯანმრთელობის პროგრამაში მომუშავე ექთანს ან წახვიდეთ თქვენ პირად ექიმთან.

თუ ვერავის უკავშირდებით და იმყოფებით გადაუდებელ სიტუაციაში:

- მიბრძანდით ჰოსპიტალში HUG, სასწრაფო დახმარების განყოფილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტით (ან ტაქსით ღამის საათების შემთხვევაში - მოითხოვეთ ქვითარი.)
- დარეკეთ ნომერზე **144** მხოლოდ გადაუდებელი სატუაციის შემთხვევაში.

გთხოვთ გაითვალისწინოთ: სასწრაფო დახმარების გამოძახება უნდა მოხდეს მხოლოდ სიცოცხლისთვის საშიში სიტუაციის დროს. სხვა შემთხვევაში შეიძლება დაგეკისროთ გადასახადი.

რა გავაკეთოთ თუ ბავშვი არის ცუდად?

შეგიძლიათ მიმართოთ მაგრანტთა ჯანმრთელობის პროგრამაში მომუშავე ექთანს ან პედიატრს.

გადაუდებელ სიტუაციაში: მიმართეთ ადგილზე მომუშავე ჯგუფს რათა დაგეხმარონ. ბავშვები იქნებიან გაგზავნილნი პედიატრიის სასწრაფო განყოფილებაში.

"თქვენი შვილის ჯანმრთელობა" (თარგმნილია 14 ენაზე) მოგცემთ რჩევებს და ინფორმაციას თქვენს შვილზე ზრუნვის შესახებ. ეს ბროშურა შეგიძლიათ იპოვოთ ვებსაიტზე [BonjourGenève](#).

აპლიკაციები:

- აპლიკაცია **Mon enfant est malade** გაძლევთ ინფორმაციას როგორ უმკურნალოთ ბავშვს სახლის პირობებში თუ ის ცუდადაა ან დაშავებულია.

- აპლიკაცია **Infokids** სასწრაფო პედიატრიული, როდესაც ბავშვს ესაჭიროება კონსულტაცია.

საჭირო მისამართი გადაუდებელი სიტუაციისთვის

ბავშვთა ჰოსპიტალი

Rue Willy Donzé 6

1205 Genève

როგორ მოვიპოვოთ მედიკამენტები?

მედიკამენტების ასაღებად, უნდა:

- იქონიოთ ექიმის დანიშნულება (გადაამოწმეთ ექიმთან რომ წამლები ანაზღაურებადია)
- მიმართოთ მხოლოდ აფთიაქებს რომლებსაც აქვთ Pharmasile - ის ბროშურა, მათ მისამართებს მოგაწვდით სოციალი და ყოველთვის გამოიყენეთ იგივე აფთიაქი.
- წარმოადგინოთ ჯანმრთელობის დაზღვევის ბარათი, და თქვენი საბუთი (საბუთი N, F, B ან დროებითი ატესტატი ანუ თეთრი საბუთი).

გთხოვთ გაითვალისწინოთ: იმ შემთხვევაში თუ წამლები არ არის ექიმის მიერ დანიშნული, მათი საფასური არის თქვენი გადასახდელი.

როგორ ისარგებლოთ სტომატოლოგიური დახმარებით?

სტომატოლოგიური მომსახურებით სარგებლობისთვის, გჭირდებათ ჰოსპისის მიერ გაცემული სტომატოლოგიური გარანტია.

რა სახის მედიკამენტებია თქვენს ხარჯზე?

სამედიცინო ხარჯებს მართავს ჰოსპისის ჟენერალი. თუ მოგივიდათ სამედიცინო გადასახადი, არ გადაიხადოთ და დროულად გადაეცით თქვენ სოციალურ მუშაკს.

ჩანიშნულ შეხვედრაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში : მოგიწევთ ჯარიმის, 50 შვეიც. ფრანკის გადახდა.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, თუ თქვენ ვერ შეძლებთ ჩანიშნულ შეხვედრაზე მისვლას, 24 საათით ადრე აცნობეთ მათ რათა თავიდან აიცილოთ 50 ფრანკიანი ჯარიმა.

რა ხდება გაუთვალისწინებელი შემთხვევის დროს?

დაშავების შემთხვევაში თქვენ ხართ დაზღვეული თქვენი ჯანმრთელობის დაზღვევის მიერ, მაგრამ თქვენ უნდა შეავსოთ გაუთვალისწინებელი შემთხვევის დეკლარაცია რათა სადაზღვევომ აანაზღაუროს ხარჯები.

თუ მუშაობთ, თქვენი დამქირავებლის დაზღვევა დაფარავს მკურნალობის ხარჯებს.

თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში მნიშვნელოვანია დროულად შეავსოთ დაშავების შესახებ ინფორმაციის კითხვარი თქვენი სადაზღვეოსთვის.